014-12-30
ბრძანება №:22/04

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების განხორციელების ხელშეწყობის შესახებ

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე მიმდინარე სასწავლო-სამეცნიერო პროცესის სრულყოფის და სამეცნიერო-კვლევებში სტუდენტების (მაგისტრატურა, დოქტორანტურა) მაქსიმალური ჩართულობის მიზნით და ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ,,ლ“ და ,,ჰ4“ ქვეპუნქტების, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ“ და ,,თ“ ქვეპუნქტების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის − ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა“, ,,ო“ და ,,პ“ ქვეპუნქტების, ამავე მუხლის მე-9 პუნქტის, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ“, ,,ო“ და ,,პ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თითოეულ ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო-სამეცნიერო პროცესის სრულყოფის მიზნით 2015 წელს განხორციელდეს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა.
2. მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის დამდგენ ორგანოდ განისაზღვროს ფაკულტეტის საბჭო.
3. მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში ერთწლიანი კონკრეტული სამეცნიერო-კვლევის (პროექტის) დაფინანსება მოხდეს მხოლოდ კონკურსის საფუძველზე, რომლის პირობებსა და ჩატარების წესს ადგენს ფაკულტეტის საბჭო ამ ბრძანების დებულებების გათვალისწინებით. ერთი პროექტის ღრებულება არ უნდა აღემატებოდეს 20.000 ლარს.
4. თითოეულ პროექტში სავალდებულოა უნივერსიტეტის არანაკლებ 2 სტუდენტის (აქტიური სტატუსის მქონე ბაკალავრიატის საფეხურის არანაკლებ 150 კრედიტის მქონე და არანაკლებ 3.0 GPA-ის რეიტინგის მქონე სტუდენტი ან მაგისტრატურისა ან/და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტი) ჩართულობა.
5. დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის მიმდინარეობასა და შედეგებზე მონიტორინს ახორციელებს ფაკულტეტის საბჭო.

6. პროექტი დასრულებულად ჩაითვლება ფინანსური და პროგრამული ანგარიშის ფაკულტეტის საბჭოსთვის წარდგენის საფუძველზე. პროექტის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში პროექტის მიმღებმა ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში სამეცნიერო პუბლიკაციის წარდგენა.
7. პროექტში ჩართული პროფესორისა ან/და ასოცირებული პროფესორის ჯამური შრომის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ბიუჯეტის 30 %-ს.
8. პროექტის დაფინანსება განხორციელდება ტრანშებად, პრინციპით - პირველი ტრანში არაუმეტეს 40%-სა, მეორე ტრანში - არაუმეტეს 50%-სა 6 თვის ფინანსური და პროგრამული ანგარიშის წარდგენისა და დადებითი შეფასების საფუძველზე, მესამე ტრანში - არაუმეტეს 10%-სა პროექტის წარმატებით დასრულების შემდგომ.
9. მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფისათვის უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან 2015 წელს გამოიყოს 525.000 ლარი, რაც თანაბრად ნაწილდება უნივერსიტეტის ფაკულტეტებს შორის.
10. დაევალოს კანცელარიას ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება.
11. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება.
12. ბრძანება ძალაში შევიდეს 2015 წლის 1 იანვრიდან.
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან (გაცნობიდან) 1 თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6).

რექტორი პროფესორი აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით ჩომახიძე